ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი

”დამტკიცებულია”

თსუ აკადემიური საბჭოს მიერ

დადგენილება №121/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, 11 ნოემბერი, 2013

სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

(IV საფეხური)

2013

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი

სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

(IV საფეხური)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სასტუმრო საქმისმწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020553)

„შეთანხმებულია“

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

.....

„შეთანხმებულია“

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი
თ. ვეფხვაძე

.....

პროგრამის ხელმძღვანელი
ეკონომიკის დოქტორი, თსუ სრული პროფესორი,
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი
მაია მარგველაშვილი

.....

2013

შ ი ნ ა ა რ ს ი

I. პროგრამის დასახელება
II. მიმართულება
III. პროფესიული განათლების საფეხური
IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია
V.პროფესიული პროგრამის მოცულობა
VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
VII. სფეროს აღწერა
VIII. პროგრამის მიზანი
IX. სწავლის შედეგი
X. სწავლის შედეგების რუქა
XI. სასწავლო გეგმა
XII. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)
XIII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება
XIV. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები
XV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.
XVI. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი
XVII. დასაქმების სფეროები:
XVIII. სწავლის პერიოდი და ხანგრძლივობა
XIX. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
XX. პროგრამის ბიუჯეტი
დანართი 1 – სასწავლო კურსების სილაბუსები
დანართი 2 – კათედრის სხდომის ოქმი
დანართი 3 –მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან
დანართი 4 –პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის შინაარსი

I. პროგრამის დასახელება – სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (Hotel and Resort Management).

II. მიმართულება – ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

III. პროფესიული განათლების საფეხური - IV საფეხური

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სასტუმრო საქმისმწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, (IV Level, Hotel Worker), რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით

V. პროფესიული პროგრამის მოცულობა

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად; პროგრამის მოცულობაა: 70 კრედიტი/1750 საათი, რომელშიც მითითებულია სასწავლო და პრაქტიკის კომპონენტისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა; ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში. პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის პროცენტული თანაფარდობა სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან. კერძოდ:

- სასწავლო კომპონენტისთვის განკუთვნილია – 35 კრედიტი (875 საათი);
- პრაქტიკის (სასწავლო და საწარმოო) კომპონენტისთვის – 35 კრედიტი (875 საათი)

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

VII. სფეროს აღწერა

სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ტურიზმის დარგობრივი სფეროს პროფესიულ პროგრამას. სასტუმრო საქმისმწარმოებლის საქმიანობა სასტუმრო და სარესტორნო საქმის სფეროა და დღესდღეისობით სასტუმრო მომსახურების (პროდუქტის) ფორმირება და ადგილობრივი ინვესტიციების ათვისება მეტად აქტუალური თემაა საქართველოს სასტუმრო ბიზნესში. ჩვენს ქვეყანაში სასტუმროების საერთაშორისო ქსელების პოპულარული ბრენდებია დაფუძნებული, რომელიც მეტ სამუშაო ადგილებსა და სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიებს საჭიროებს. იგი მომსახურებაზეა ორიენტირებული და გულისხმობს მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებას.

VIII. პროგრამის მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, პროფესიული სტუდენტი დააუფლოს სასტუმრო და სარესტორნო საქმის სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა. კერძოდ, სასტუმრო საქმისთვის დამახასიათებელი პროცესების, პრინციპების და კონცეფციების საფუძვლიანი ცოდნა. ყოველივე ეს კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს გააცნობიეროს აღნიშნულ სფეროში პრობლემების გადაჭრის ზოგადი შესაძლებლობები. პროფესიულმა სტუდენტმა შესაბამისი სასწავლო კურსების (შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1, კურორტის მენეჯმენტი, კანონმდებლობა და ტურისტთა დაცულობა და უსაფრთხოება და საქართველოს გეოგრაფია და სხვა) ცოდნის საფუძველზე, უნდა შეძლოს: სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების შესრულებაზე კონტროლი, რეგისტრაციის

სამსახურის თანამშრომელთა ხელმძღვანელობა და კონტროლი; თანამშრომელთათვის სამუშაო განრიგის შედგენა; სასტუმროს დაჯავშნის სამსახურის თანამშრომელთა ხელმძღვანელობა და კონტროლი; თანამშრომელებისათვის სამუშაო განრიგის შექმნა; სტატისტიკის წარმოება და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი; სტუმრების განთავსების გეგმის შედგენა; დასუფთავების პროცედურების შესრულების კონტროლი; სტუმრის მომსახურების სტანდარტების დაცვაზე და ხარისხზე კონტროლი; სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლი; უსაფრთხოების დაცვაზე ზედამხედველობა; მცირე ზომის სასტუმროების და სასტუმრო სახლების ადმინისტრირება და სხვა;

IX. სწავლის შედეგი

სწავლის შედეგები აღწერილია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კონკრეტული საფეხურისა და დარგობრივი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად

ცოდნა და გაცნობიერება	**პროფესიულ სტუდენტს აქვს** სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს. კერძოდ აქვს სასტუმროს სფეროსთვის დამახასიათებელი პროცესების, პრინციპებისა და კონცეფციების საფუძვლიანი ცოდნა; მარკეტინგის, გაყიდვების, რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპებისა და სტუმართმასპინძლობის ეტიკეტის ცოდნა. სასტუმროს მენეჯმენტის ფუძემდებლური პრინციპების, მათ შორის კვებისა და სასმელების მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა; იცის: სტუმარმასპინძლობის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები; სასტუმრო ბიზნესი და მისი მართვა; სარესტორნო ბიზნესი და სასტუმროებში კვების ობიექტების მუშაობის სპეციფიკა; კადრების დაქირავების და ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები; სასტუმროს პერსონალის მართვის ძირითადი პრინციპები; რეალიზაციისა და მარკეტინგის საფუძვლები: სასტუმროს გაყიდვების ტექნიკა, სასტუმროს რეკლამირება, სტუმართა მოზიდვა; სასტუმრო სახლების, საოჯახო სასტუმროების და მცირე ზომის სასტუმროების ადმინისტრირება და მართვა; საკურორტო ზონის სასტუმროების და დასასვენებელი კომპლექსების ფუნქციონირების სპეციფიკა და ადმინისტრირება; სარესტორნო მარკეტინგის საფუძვლები; მენეჯმენტის საფუძვლები; საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები; ბიზნესის წარმოების და სამეწარმეო სამართლის საფუძვლები; საქართველოს გეოგრაფია, ისტორია, კულტურა, ხელოვნება და ტრადიციები; სასტუმროს მენეჯერის ან ამა თუ იმ დეპარტამენტის მენეჯერის უშუალო ხელმძღვანელობით აწარმოებს სასტუმროს ამა თუ იმ დეპარტამენტის მუშაობაზე ზედამხედველობას; პასუხისმგებელია ობიექტის ამა თუ იმ დეპარტამენტის თანამშრომელთა ყოველდღიურ მუშაობასა და სამუშაოთა კოორდინირებაზე.

	იცის სასტუმროში გამართულ ღონისძიებათა ორგანიზება: კონფერენციების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება; გასართობი ღონისძიებებისა და სხვა აქციების ორგანიზება; ოფიციალური მიღებების, ფურშეტების, კოკტეილის საღამოების, ბანკეტების, წვეულებებისა და სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება; სასტუმროს რეკლამირებისათვის აქციების მოფიქრება და ორგანიზება; იცის მოლაპარაკებების წარმოება დამკვეთებთან, სხვადასხვა სახის მომსახურების შეთავაზება, ობიექტის რეკლამირება და მომხმარებელთა მოზიდვა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ: **შეუძლია:** სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების შესრულებაზე კონტროლი, რეგისტრაციის სამსახურის თანამშრომელთა ხელმძღვანელობა და კონტროლი; თანამშრომელთათვის სამუშაო განრიგის შედგენა; სასტუმროს დაჯავშნის სამსახურის თანამშრომელთა ხელმძღვანელობა და კონტროლი; თანამშრომელებისათვის სამუშაო განრიგის შექმნა; სტატისტიკის წარმოება და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი; სტუმრების განთავსების გეგმის შედგენა; სტუმრების ჩამოსვლის გეგმა-პროგნოზების შედგენა; დასუფთავების სამსახურის ზედამხედველობა, დასუფთავების პროცედურების შესრულების კონტროლი; სტუმრის მომსახურების სტანდარტების დაცვაზე და ხარისხზე კონტროლი; სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლი; უსაფრთხოების დაცვაზე ზედამხედველობა; რეალიზაციის დაგეგმვა და განხორციელება; მცირე ზომის სასტუმროების და სასტუმრო სახლების ადმინისტრირება; კადრების დაქირავების პროცესში მონაწილეობის მიღება; კადრების მომზადება და გადამზადება; ტრეინინგების ჩატარება; კადრების სათანადო მომზადების და მუშაობის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება; ახალი თანამშრომლებისათვის თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობა, რჩევებისა და გამოცდილების გაზიარება; სამუშაოს განაწილება თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად; პერსონალისათვის ყოველდღიური სამუშაო განრიგის შედგენა; დაქვემდებარებული თანამშრომლების ხელმძღვანელობა და მუშაობის პროცესის გაძღოლა; ნამუშევარი საათების დათვლა და ტაბელების წარმოება; შეხვედრების წარმართვა, სამუშაო განრიგის განხილვა, სტუმართა საჩივრების განხილვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით საჭიროებების განსაზღვრა. საუზმისა და შვედური მაგიდის მომსახურების ხელმძღვანელობა; სასტუმროს ოთახებში მომსახურების ზედამხედველობა; მარტივი ბიზნეს გეგმის შედგენა.

	მუშაობის რესტორანთან, სამზარეულოსთან, მომარაგების განყოფილებასთან, ქიმწმენდასთან და სამრეცხაოსთან კოორდინირება; სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება და მომსახურების ზედამხედველობა; სამუშაო ინტერიერის დაგეგმვა და დიზაინის ორგანიზება; სამეურნეო საშუალებების შეკვეთა, მიღება და დაბინავება; სასაწყობე ადგილების მომზადება; ინვენტარიზაციის ჩატარება; განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მომხმარებელთა მომსახურება; ახალი ტექნოლოგიების, დარგის სიახლეების თანამედროვე მიღწევების დანერგვა; მის პირდაპირ მოვალეობაშია მასზე დაქვემდებარებული პერსონალის ხელმძღვანელობა და მათთვის სამუშაოს დაგეგმვა- განაწილება, კონტროლი სამუშაოს შესრულებაზე; ზოგიერთ ობიექტზე უფლებამოსილების ფარგლებში ითავსებს ადმინისტრაციული და კადრების მენეჯერის ფუნქციას, უძღვება კადრების მომზადება-გადამზადებისა და მათი მუშაობის ხარისხის შეფასების პროცესს. ფლობს დაქირავების, კადრების სათანადო მომზადების და მუშაობის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდებს
დასკვნის უნარი	**პროფესიულ სტუდენტს** შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი. კერძოდ: პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომების შემუშავება, სხვადასხვა შესაძლებლობების განხილვა და მათგან ყველაზე ოპტიმალურის ამორჩევა, მიღებული შედეგის ანალიზი; შეუძლია მენეჯერისა მითითებების და შენიშვნების, კოლეგების მოსაზრების და რჩევის მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან ან საინტერესო ინოვაციასთან დაკავშირებით. აქვს პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების უნარი, შეუძლია პრობლემების შეფასება ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა - შეუძლია კონფლიქტურ ან სხვა კრიტიკულ სიტუაციაში ეფექტურად მოქმედება, შეუძლია დამოუკიდებლად გადაჭრას სასტუმროში წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემა, შეუძლია ამა თუ იმ ქმედებების დადებითი და უარყოფითი მხარეების განჭვრეტა, განსჯა, ინფორმაციის გაანალიზება და მისაღები გადაწყვეტილების შერჩევა; სტუმრებთან გადახდის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში შინაგანაწესის ახსნა- განმარტება, ფასდაკლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; თანამშრომლების გაცდენის ან დაგვიანების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. უკმაყოფილო მომხმარებლის ან მომხმარებელთა მოზღვავების შემთხვევაში მომსახურების პრობლემის მოგვარება; მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული მომხმარებლის საჩივრის შემთხვევაში, მომხმარებლის კეთილგანწყობის შენარჩუნება და პრობლემის აღმოფხვრა; შეუძლია ტექნიკური პრობლემების მოგვარება; უნდა გააჩნდეს საკუთარი და სხვების სამუშაოს ორგანიზების და სწორედ დაგეგმვის უნარი; შეუძლია როგორც გუნდში, ასევე დამოუკიდებლად მუშაობა; შეუძლია სამუშაოსთვის დამახასიათებელი განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება; ამოცანების

	გადასაწყვეტად გარკვეული მიდგომების შემუშავება და მიღებული შედეგების ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება. კერძოდ: შეუძლია ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ინფორმაციის გაგება, გააზრება, მოძიება. საზოგადოებასთან ურთიერთობა, მომხმარებელთან, კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; გამართული მეტყველება და არტიკულაცია; საუბრისას ინფორმაციის გასაგებად გადმოცემა, სატელეფონო საუბრების წარმართვა; სათანადო კომუნიკაცია პრეტენზიულ მომხმარებელთან, მენეჯერთან ფუნქციების განაწილების თაობაზე მოლაპარაკება; თანამშრომლობა პერსონალთან და შესაბამისი დირექტივების მიცემა; კომუნიკაცია სასტუმროს ნებისმიერი რგოლის პერსონალთან; მათი თხოვნის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაგება, გააზრება და საჭიროებების დაზუსტება; წარმოქმნილი პრობლემის შესახებ ინფორმაციის დეტალური და ამომწურავი მიწოდება. შეძლოს სამუშაოს გაუმჯობესებაზე კარგად დასაბუთებული მოსაზრებების ჩამოყალიბება; ცვალებად გარემოსა და სიტუაციებისადმი შეგუება, სამუშაო პროცესებისა და პროდუქციის გაუმჯობესებისათვის დისკუსიებში მონაწილეობა
სწავლის უნარი	**პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:** საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ, ცვალებად ვითარებაში; კერძოდ: • კურიკულუმით (სილაბუსით) განსაზღვრული პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა, ნასწავლი მასალის გადმოცემა და შეფასების მიღება; •სხვისი სწავლება; •ლიტერატურისა და სხვადასხვა წყაროების მოძიება, დამუშავება და ანალიზი, საკუთარი სწავლის დაგეგმვა, სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების უზრუნველყოფა.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად. საფუძვლიანად იცნობს სასტუმრო სერვისის სფეროს, მომსახურების არსს და სტუმარმასპინძლობის ძირითად პრინციპებს, პროფესიული ეთიკის ძირითად პრინციპებს, გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა, ახასიათებს ორგანიზებულობა, დისციპლინა, პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა, საკუთარი და სხვისი ფუნქციების და მოვალეობების გაცნობიერება, კონსტრუქციული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა კოლეგებთან და პერსონალთან, სხვისი დახმარება, საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა; გულისყურით ეკიდება სტუმრის თხოვნას; კრიტიკულ სიტუაციაში არ კარგავს მობილიზაციის უნარს და მაქსიმალურად ცდილობს მომხმარებლის დაკმაყოფილებას.

X. სწავლის შედეგების რუქა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის/პრაქტიკის გავლის შედეგად მიღწეული კომპეტენციები.

სასწავლო კურსები/პრაქტიკა	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საინფორმაციო ტექნოლოგიები 1	+	+	+	+	+	-
ინგლისური ენა 1	+	+	-	+	+	-
ფრანგული, გერმანული, ენა 1 (არჩ.)	+	+	-	+	+	-
მენეჯმენტის საფუძვლები	+	+	+	+	+	+
ბიზნესის საფუძვლები	+	+	+	+	+	+
საქართველოს ისტორია და კულტურა	+	+	-	+	-	+
შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1	+	+	+	+	+	+
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში	+	+	+	+	+	+
კურორტის მენეჯმენტი	+	+	+	-	-	-
კანონმდებლობა და ტურისტთა დაცულობა და უსაფრთხოება	+	+	-	-	-	+
სურსათის მენეჯმენტი	+	+	+	+	+	+
საქართველოს გეოგრაფია	+	+	+	+	-	-
რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები	+	+	+	+	+	-
სასწავლო პრაქტიკა	-	+	+	+	+	+
საწარმოო პრაქტიკა	-	+	+	+	+	+

XI. სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსები/პრაქტიკა კრედიტების მიხედვით. კრედიტი მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სასწავლო კურსები/პრაქტიკა	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება							სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო დრო, საათები						დამოუკიდებელი დრო, საათები	
		ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა	შუალედური შეფასება/გამოცდა	დასკვნითი შეფასება /გამოცდა	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა		
საინფორმაციო ტექნოლოგიები 1	3	-	39	4	2	-	-	30	75
ინგლისური ენა 1	3	-	39	4	2	-	-	30	75
ფრანგული, გერმანული, ენა 1 (არჩ.)	3	-	39	4	2	-	-	30	75
მენეჯმენტის საფუძვლები	2	14	12	4	2	-	-	18	50
ბიზნესის საფუძვლები	2	14	12	4	2	-	-	18	50
საქართველოს ისტორია და კულტურა	3	27	12	4	2	-	-	30	75
შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1	4	15	24	4	2	-	-	55	100
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში	3	15	24	4	2	-	-	30	75
კურორტის მენეჯმენტი	3	15	24	4	2	-	-	30	75
კანონმდებლობა და ტურისტთა დაცულობა და უსაფრთხოება	3	27	12	4	2	-	-	30	75
სურსათის მენეჯმენტი	2	14	12	4	2	-	-	18	50
საქართველოს გეოგრაფია	2	14	12	4	2	-	-	18	50
რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები	2	14	12	4	2	-	-	18	50
ჯამი	**35**								**875**
სასწავლო პრაქტიკა	15	-	-	4	2	369	-	-	**375**
საწარმოო პრაქტიკა	20	-	-	4	2	-	494	-	**500**
ჯამი	**35**								**875**
სულ	**70**								**1750**

სასწავლო კურსები/პრაქტიკა სასწავლო კვირეების მიხედვით.

სასწავლო კურსები/პრაქტიკა	სასწავლო კვირათა რაოდენობა		
	20 კვირა	20 კვირა	14 კვირა
საინფორმაციო ტექნოლოგიები 1	X		
ინგლისური ენა 1	X		
მენეჯმენტის საფუძვლები	X		
ბიზნესის საფუძვლები	X		
საქართველოს ისტორია და კულტურა	X		
შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1	X		
კანონმდებლობა და ტურისტთა დაცულობა და უსაფრთხოება	X		
კურორტის მენეჯმენტი	X		
საქართველოს გეოგრაფია	X		
რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები	X		
ფრანგული, გერმანული, ენა 1 (არჩ.)		X	
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში		X	
სურსათის მენეჯმენტი		X	
სასწავლო პრაქტიკა		X	
საწარმოო პრაქტიკა			X

XII. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ❖ ლექციაზე დასწრებას;
- ❖ სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ❖ დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- ❖ პრაქტიკულ მეცადინეობას:
  - ❖სასწავლო პრაქტიკას;
  - ❖საწარმოო პრაქტიკას;
- ❖შეფასების (შუალედური და დასკვნითი გამოცდები) მომზადება/ჩაბარებას

XIII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) 5 სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C)კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D)დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) 2 სახის უარყოფით შეფასებას:

• (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
• (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
დასკვნითი შეფასება (გამოცდა) მაქსიმალური - 40 ქულა. მინიმალური ზღვარი - 20 ქულა.

პროფესიული სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაშვებულად ითვლება, თუ შეფასების სისტემის ყველა კომპონენტში სწავლების მიმდინარე პერიოდში დააგროვებს მინიმუმ 11 ქულას და გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულების გათვალისწინებით დააგროვებს 51 ქულას.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმებია:

❖შუალედური შეფასება;
❖დასკვნითი შეფასება (გამოცდა);
❖სხვა აქტივობები

შენიშვნა: კომპონენტები ფასდება ქულებით, რომელიც აისახება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში: დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა, დანარჩენ კომპონენტებზე ქულების გადანაწილებას ახდენს ლექტორი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. ქულები უნდა გადანაწილდეს 100 ქულის ჯამით.

XIV. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისას ლექტორს/მასწავლებელს უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. ეს მეთოდებია:

დისკუსია-დებატები, რაც ამაღლებს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში, რაც მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით არ შემოიფარგლება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
ჯგუფური (collaborative) მუშაობა. გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამაშავებენ საკითხებს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანებიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება. ესაა სწავლების სტრატეგია, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
შემთხვევის ანალიზის მეთოდი (Case study). გულისხმობს ლექციის ახსნის პროცესში პროფესიულ სტუდენტებთან ერთად კონკრეტული შემთხვევების განხილვას, თეორიული მასალის უფრო თვალსაჩინოდ და საფუძვლიანად წარმოჩენის მიზნით;

დემონსტრირების მეთოდი გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოადგენას. შედეგების მიღწევის თვალსაზრისით მიზანშეწეონილია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით დემონსტრირება, რაც ხორციელდება როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ;
პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც პროფესიულ სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკას;
ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ; **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ; **სწავლების სინთეზის პროცესი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას.
ახსნა-განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და პროფესიული სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

შენიშვნა: სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, აგრეთვე, შეფასების ფორმები და მეთოდები (ზემოდასახელებული კომპონენტების არჩევანი) ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისთვის ასახულია სილაბუსებში, რომელსაც თითოეული ლექტორი/მასწავლებელი ადგენს (ირჩევს) ინდივიდუალურად.

XV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

ინფორმაცია იმ პერსონალის შესახებ, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო კურსების და პრაქტიკის წარმართვაში მონაწილეობს:

სასწავლო კურსი	ლექტორის სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
საინფორმაციო ტექნოლოგიები 1	რუსუდან სეთურიძე	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ინგლისური ენა 1	ირინა ჯობავა	ფილოლოგიის დოქტორი
ფრანგული, გერმანული, ენა 1 (არჩ.)	ნინო მენაბდიშვილი, მაია ღვინჯილია	ფილოლოგი
მენეჯმენტის საფუძვლები	თემურ ხომერიკი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ბიზნესის საფუძვლები	ელისაბედ ბალიაშვილი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს ისტორია და კულტურა	ირინა მირიჯანაშვილი	ხელოვნებათმცოდნეობის

		დოქტორი
შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1	მერაბ ხოხობაია	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი
კანონმდებლობა და ტურისტთა დაცულობა და უსაფრთხოება	თამარ გვენეტაძე	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
კურორტის მენეჯმენტი	ლევან ედილაშვილი	ექიმი–პედიატრი
საქართველოს გეოგრაფია	ია იაშვილი	გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი
რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები	ნანა კაციტაძე	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში	მერაბ ხოხობაია	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი
სურსათის მენეჯმენტი	მაკა შამუგია	სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტის“ კვებისა და სასმელის სამსახურის მენეჯერი
სასწავლო პრაქტიკა	მაია მარგველაშვილი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საწარმოო პრაქტიკა	კახაბერ ჭეიშვილი თამარ დვალიშვილი შალვა ბობოხიძე	ფილოლოგიის დოქტორი შპს „ცენტრის“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერი სასტუმრო სახლი „გორა“დირექტორი

XVI. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

პროფესიულ სტუდენტთა განკარგულებაშია:

- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (თსუ, X - მაღლივი კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. #2) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკა, საპრეზენტაციო პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები (15), კომპიუტერული ლაბორატორიები (6), რესურს-ცენტრები (3), სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის: პროცესორი -185, მონიტორი - 185, პრინტერი - 5, პროექტორი - 19, ლეპტოპი - 2, ასლის გადამღები - 2 და სკანერი - 2. წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფილია ისეთი პროგრამებით, როგორებიცაა: Adobe Reader, Microsoft Office 2007, Nero, WinRAR, GOM player, USB.Disk.Security, Pagemaker 7.0, Adobe Photoshop7, antivirus - Avira, AVG, Symantec.

- ტურიზმის საერთაშორისო სკოლის (ვაჟა-ფშაველას პრ. #44) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: საერთო ფართი 3382 კვ.მ., ბიბლიოთეკა, LCD პროექტორით აღჭურვილი

აუდიტორიები (2), კომპიუტერული ლაბორატორიები (2), რესურს-ცენტრები (2), სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის: პროცესორი და მონიტორი - 84, პრინტერი - 6, LCD პროექტორი - 3, ლეპტოპი - 1, ასლის გადამღები - 4, სკანერი - 2, ვიდეოკამერა - 5. წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფილია ისეთი პროგრამებით, როგორებიცაა: Adobe Reader, Microsoft Office 2007, Nero, WinRAR, Pagemaker 7.0, Adobe Photoshop7, antivirus – AVG და ა.შ.

- ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის რეგიონული ცენტრი (ნიკეას მე-2 შესახვევი N8-ში, 0431 ქუთაისი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: საერთო ფართი 3382 კვ.მ., ბიბლიოთეკა, LCD პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები (2), კომპიუტერული ლაბორატორია, სტუდენტთა მომსახურების ოფისი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის: პროცესორი და მონიტორი - 20, პრინტერი - 2, LCD პროექტორი - 2, ლეპტოპი - 1, ასლის გადამღები - 2, სკანერი - 2. წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფილია ისეთი პროგრამებით, როგორებიცაა: Adobe Reader, Microsoft Office 2007, Nero, WinRAR, Pagemaker 7.0, Adobe Photoshop7, antivirus – AVG და ა.შ.

სტუდენტთა საერთო რაოდენობა, ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის არსებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების პირობებში, არ უნდა აღემატებოდეს 150-ს.
პროფესიული განათლების სპეციალისტის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის გავლაც, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტში დამტკიცებული საწარმოო პრაქტიკის დებულების შესაბამისად,

პროფესიული სტუდენტი მემორანდუმის საფუძველზე საწარმოო პრაქტიკას გადის:

1. შპს „ცენტრი“; მის.: თბილისი, გულიას ქ. № 1 (სასტუმრო კომპლექსი „ბაზალეთის ტბა“ http://www.bazaletilake.ge და „ბაზალეთი პალასი“ http://www.bazaletipalace.ge)
2. სასტუმრო სახლი „გორა“; მის.: ქუთაისი, დები იშხნელების ქ. 22
3. სასტუმრო სახლი „გელათი“; მის.: ქუთაისი, 26 მაისის ქუჩა, მე–2 შესახვევი # 4

XVII. დასაქმების სფეროები:

სწავლის დასრულების შემდგომ მიღებული ცოდნითა და გამომუშავებული უნარ-ჩვევებით კურსდამთავრებულს (სასტუმრო საქმისმწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია,) შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სასტუმრო ობიექტებში:

- სასტუმრო ბრენდები;
- დიდი, საშუალო და მცირე ზომის სასტუმროები;
- ”გესთ ჰაუსები”;
- დასასვენებელი სახლები;
- სანატორიუმები;
- საკურორტო კომპლექსები;
- საკრუიზო გემები.

XVIII. სწავლის პერიოდი და ხანგრძლივობა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 54 სასწავლო კვირა და მოიცავს შემდეგ პერიოდებს:

❖ 40 სასწავლო კვირა (20+20) თეორიული სწავლების და სასწავლო პრაქტიკის პერიოდი;

❖ 14 სასწავლო კვირა - საწარმოო პრაქტიკის პერიოდი

XIX. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროფესიულ სტუდენტს სწავლა შეუძლია გააგრძელოს მომდევნო (V) საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე.

XIX. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის მოცულობა: 70 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი), სულ 1750 საათი (თეორიის კომპონენტი 875 საათი); პრაქტიკის კომპონენტი - 875 საათი); პრაქტიკის კომპონენტი მოიცავს პროფესიული პროგრამის საერთო მოცულობის 50 %-ს.
სტუდენტების მინიმალური რაოდენობა – 25
სწავლის ღირებულება – 2250 ლარი
<u>შემოსული თანხა</u> სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის შემთხვევაში – 56250 ლარი

<u>ხარჯები:</u>
კომუნალური და სხვა სახის გადასახადები: იხდის თსუ ცენტრალიზებულად.
პედაგოგების ანაზღაურება:

- თეორიული კურსების 1 სთ. - დოქტორებისათვის 25 ლარი
  - ხარისხის არმქონეთათვის 20 ლარი
  (საშუალო ანაზღაურება - 22,50 ლარი).
- პრაქტიკის ინსტრუქტორთა 1 სთ - 15 ლარი.

<u>ხარჯები სულ:</u>

- 875 X 22,50 ლ = 19687,50 ლარი (თეორიული კურსებისათვის).
- 875 X 15 ლ = 13125 ლარი (პრაქტიკულისათვის).
- სარეკლამო ხარჯები – 500 ლარი.

სულ ხარჯები - 33312, 50 ლარი.

მინიმალური შემოსავლების პირობებშიც კი პროგრამა იძლევა 22937,50 ლარის (56250-33312,50) მოგებას.

100 პროფესიული სტუდენტის მიღების შემთხვევაში ხარჯები იქნება 133250 ლარი (33312, 50 ლარი X 4), ხოლო მოგება - 91750 ლარი (22937, 50 ლარი X 10).